გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

---

## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილის** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—4)

---

საალდგომო საჩუქარი

**ქართველებს.**

იხილეთ მეოთხე გვერდზედ ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

---

კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის სადგომში იქნება.

## საზოგადო კრება

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგნები კრებისა:

1) ახალი წევრების ამორჩევა;

2) 1 ოქტომბრის 1890 წლ.—1 აპრილის 1892 წლ. ანგარიშის დამტკიცება;

3) ახალის მმართველობისა და კომისიების ამორჩევა.

ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული (5 მ.) არ შემოუტანია, კრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მმართველობა უმორჩილესად სთხოვს წევრებს, საწევრო ფულის შემოტანა დააჩქარონ.

(5—2)

---

## ახალი ამბავი

⁂ რუსეთში დამშეულთა სასარგებლოდ მეორე «ლატარიის ბილეთები», რიცხვით ხუთი ათასი, რომელიც ტფილისის «ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის» სახელობაზედ იყო გამოგზავნილი წარსულს თთვეში პეტერბურგიდგან, უკვე გაიყიდა. დღეს ასეთივე «ბილეთები» მოუვიდა ხსენებულს «კანტორას» გასასყიდად ბაქოს «ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისაგან», რიცხვით ხუთასი; ტფილისის სახელმწიფო «ბანკის» განყოფილებისაგანაც მიუღია ორასი; ტფილისის დაარსებულ «წითელ ჯვრის» საზოგადოებისაგანაც—სამასი ცალი. სულ ამ ჟამად ტფილისის «ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში» ათასი სხვა-და-სხვა ნომრის ბილეთია გასასყიდი და ვისაც სურვილი აქვს ამ ბილეთების ყიდვა-შეძენისა, შეუძლიან იყიდოს.

⁂ ტფილისში საკმაოდ მრავლდება რიცხვი ქართველ ხელოსანთა. ეს ხელოსანი ხალხი ქალაქის განაპირად პატარ-პატარა ქოხების კეთებასაც ძლიერ ეტანება. ამისთანებს ბევრსა ჰნახავთ ვერაზედ, არსენალისაკენ, კუკიაში, მთაწმინდასა და სხვ. ბევრნი არიან, მაგალითად, მსურველნი მთაწმინდის კალთებზედ დასახლებისა, იქ, საცა არც ერთი სახლი არ არის, ზედ კლდეზედ, მაგრამ სამწუხაროდ გზებია შეკრული. გზები შეკრული აქვთ იმ სახლის პატრონებს, რომელნიც სულ განაპირებით სცხოვრობენ და თავიანთზედ ზევით არავის უშვებენ. აქ რომ იმათ გზები მისცენ, ბევრი გამოჩნდება მსურველი მუშა ხალხში და ხელოსანთა შორის ყველაზედ განაპირას, ყველაზედ მაღლა დასახლებისა და იმ კლდეების გამოყენებისა, რომელიც ეხლა უქმად არის.

⁂ ტფილისის ერთს სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება ხუთ წიგნად: «ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა საქართველოჲსა», ვახუშტის საზოგადო «შესავალი»-თურთ. პირველ წიგნად იბეჭდება შესავალი და გეოგრაფია სამცხისა. მეორე წიგნად დაიბეჭდება გეოგრაფია ქართლისა, მესამედ—კახეთისა, მეოთხედ—იმერეთისა და ოსეთ-კავკასიელოა, მეხუთე წიგნად გამოვა ვრცელი წინასიტყვაობა მოსე ჯანაშვილისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება განმარტება-სხვა-და-სხვა საეჭვო და ვახუშტის მიერ განუმარტველ საკითხავთა და აგრეთვე დამატებითი ცნობები შესახებ ხხვა-და-სხვა ადგილთა, შენობათა, წესთა და სხ.

⁂ 30 ამა მარტს შემდეგი ამბავი მოხდა რკინის გზის სადგურს გორში: საღამოს 3 საათი იქნებოდა, როდესაც მუშები ხელით აგორებდნენ საქონლის ვაგონებს დასატვირთავად. ამ დროს ერთი ვაგონი მოიტაცა ქარმა და გამოაქანა სადგურ გრაკალისკენ. ბევრი რამ საშუალება მოიგონა სადგურის უფროსმა ბ-ნმა კ—მა, უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ვერას გზით ვერა მოახერხარა. რა-კი ჰნახა, რომ არა გაეწყობარაო, იმავე წამს დეპეშით აცნობა გრაკლის სადგურის უფროსს, რომ მატარებელი არ გამოეშვა, გზა მიეცა ვაგონისათვის და რამ საშუალება ეხმარა მის დასაკავებლად. მართლაცდა ორი მატარებელი დააყენა სადგურის უფროსმა და გზაზედ შპალები გადაულობა. გაქანებული ვაგონი მიაწყდა შპალს, ამ დროს კონდუქტორები მისცვივდნენ და ალაყებით შეაჩერეს.

⁂ 30 მარტს შემდეგი ამბავი მოხდა რკინის გზის სადგურს გომსა და ქარელს შუა: როდესაც საქონლის მატარებელი № 37 მოდიოდა ტფილისისაკენ, მემაშინემ უეცრად გაუღო ორს-ლულიანს ორთქლ-მავალს „ფარსუნკა“, საიდგანაც მაზუტი მიდის და ცეცხლი ეკიდება. ამ დროს უცებ გამოვარდა ალი და მოედო სახესა და ხელებზედ. იქვე მყოფმა „კაჩეგარმა“ უშველა, გააქრო ცეცხლი და კაცი მოარჩინა უბედურებას. იმავე დროს სახალხო მატარებელი მოდიოდა ტფილისიდგან № 4 და ამის გამო პირველი მატარებელი უკან დაბრუნდა ხაშურისაკენ, რადგანაც რკინის გზის მკურნალი იქავე ახლოს იყო. შესაძლოა ტფილისის საავადმყოფოშიაც ჩამოიყვანონ დაშავებული კაცი. სიკვდილით არა უჭირს-რა. გვარად ამ კაცს ახობაძეს ასახელებენ.

⁂ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 15—23 მარტს ტფილისში ავად გამხდარა გადამდების სენით: ყვავილითა და ხუნაგით—21, შავის სახადით—1, გარდაცვლილა ხუნაგისაგან 6 კაცი.

⁂ ამ დღეებში ტფილისში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთს ქალს, ქ-ნს პ—ს, კბილი ასტკივდა და ტფილისის ერთს, საუკეთესო კბილის მკურნალს მიჰმართა. მკურნალმა კბილი ამოუღო. ქ-ნს პ—ს ტკივილმა მაინც არ გაუარა და მეორე დღეს ყბა დაუსივდა. საღამოზედ სამხედრო სამკურნალოში წაიყვანეს და საბრალო მესამე დღეს გარდაიცვალა. მკურნალებმა შეამოწმეს, რომ კბილი უსუფთაო გაზით ამოუღია მკურნალს და ქ-ნს პ—ს ამის გამო დასიებია ყბაო. გარდაცვალებულს ორი მცირე-წლოვანი შვილი დარჩა.

⁂ 26 ექვს მარტს კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო განყოფილების კრების დროს სხვათა შორის ხსენებულ საზოგადოების წევრს ნ. კ. ზეიდლიცს, როგორც გაზეთი „Кавказъ“-ი, იუწყება უთქვამს: „ამ ჟამად ბერლინში ამთავრებენ დიდის ხნის შრომას, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის შესწავლისათვის, სახელდობრ, ჩვენის ქვეყნის მრავალ ენათა შესწავლისა და კვლევისათვის, რის გამოც ჩემ სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ წარმოვუდგინო „საზოგადოება“-ს ნამდვილ წყაროებიდგან შეტყობილი ცნობანი ამ საგნის შესახებ, რომელსაც ჩვენი „საზოგადოება“ ყოველთვის განსაკუთრებულის ყურადღებით ეკიდება. პატივცემული წევრი ჩვენის საზოგადოებისა, გენერალი ერკერტი, აპირობს ამ დღეებში წარუდგინოს მეცნიერებათა აკადემიას პეტერბურგში თავის მიერ მოხდენილი გამოკვლევა კავკასიურ ენათა, რისათვისაც მასალა შეკრიბა კავკასიაში ყოფნის დროს და შეავსო იგი იმ ცნობებით, რომელიც რამდენმამე აქაურმა ინტელიგენტმა მისცა. ეს შრომა დაიბეჭდა რუსეთში რუსულს ენაზედ. იმ მონაწილეობის შემწეობით, რომელიც ამ ფრიად რთულსა და ძნელს საქმეში მიიღო ცნობილმა ლინგვისტმა ფრიდრიხ მიულლერმა

---

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა.

ჩვენი მწერლობა და მისი მოვალეობა.

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 67)

I

თითქმის ეს ყველას მოეხსენება, რომ კახეთ-ქიზიყი დიდი, უფასო თვალ-მარგალიტია საქართველოსი და ამასთანავე ერთი უპირველესთაგანი და უმთავრესთაგანი სამშობლო მხარეა ჩვენისავე ქვეყნის საუკეთესო ღვინო-სურადისა, და ეს-კი ბევრმა როდი იცის, თუ რა სამწუხარო მდგომარეობაშია დღეს კახეთ-ქიზიყის მიწა-წყალში ჭირის ოფლის მღვრელი უმრავლესობა და მისი ოფლით ნაწვავ-ნადაგი ჭირნახული, ერთად-ერთი ქვაკუთხედი ქონებრივისა დ გონებრივის ცხოვრების საფუძვლისა.

„ეჰ, ვის ესმის, თუ სადმე მუშა ჰკვნესის“, მუშა ტანჯვით ქვეყნის კუჭის მკვებავი!.. „მშიერთა ცრემლი მაძღართა გულქვათა ვერ ალბობდიან“ მართალი ყოფილა ისე, როგორც მაძღარს ყველა თავისავით მაძღარი ჰგონია... დიდი სირცხვილია ჩვენის მწერლობისათვის, როდესაც ის ალა-მაჰმად-ხანის და ჩვენის დროის უბრალო საქმეზედ ერთს ყოფას დააწევს ხოლმე და საქართველოს დღევანდელი ავ-კარგი ანუ მრავალთა უმთავრესი ჭირი და ვარამი-კი გამოუქვეყნებლად და წამალ-დაუდებლად რჩება თავისსავე საბინადროში ჩვენის გულცივის დაუდევნელობისა დ სამარცხვინო უთავბოლობის გამო. სასაცილოა, ღმერთმანი, ცხვირ წინ ცხოვრების ათას ნაირი საჭირ-ბოროტო საქმეები დუღს და გადმოდის კახურ მაჭარსავით, იმას თვალს ვარიდებთ და ევროპიის გაქნილ პოლიტიკის წვრილმანებს მოვედებით. ვაი ჩვენს ლოღიკას, რომ ჩვენა ვყევართ თავის შემარცხვენელად!.. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს რომ ევროპის პოლიტიკის წვრილმანების ჩხრეკაში არ გაეტარებინა თავისი დღენი და მოძმეთა უმრავლესობს საეკონომიო ყოფა-მდგომარეობისათვის მიექცია უმთავრესი ყურადღება, შესაძლოა, ასცდენიყო რუსეთს დღევანდელი საზარელი და დამღუპველი შიმშილობა, რადგანაც ხალხის სამეურნეო საქმეები და აღებ-მიცემობა წეს-რიგიანად იქნებოდა მოწყობილი და მათის წყალობით რუსის გლეხ-კაცობას ორი-სამი წლის სარჩო-საბადებელი ექნებოდა სახლში და გონებითაც ბევრით წინ იდგებოდა, ვიდრე ეხლაა.

სამი თვალი აქვს ბრძენის გონებას: ჰხედავს წარსულსა—იკვლევს, გვამხილებს; ჰხედავს აწმყოსა—გვირჩევს, გვაშინჯებს; ჰხედავს მომავალს—სწონავს, გვაფრთხილებს. მაგრამ რუსის მწერლობის სამი თვალი-კი ვერაფერი სამი თვალი გამოდგა: იმათის სიელმის გამო დღეს რამდენიმე მილიონი სული იტანჯება შიმშილისაგან. აფსუს მეცხრამეტე საუკუნევ, რომ სახელი დიდი გაქვს და სახრავი-კი არა გაბადია-რა იმ სამარცხვინო მიზეზების გამო, რა მიზეზითაც დიდებულ ტურგენევის შუბინი ამბობს:

„Нѣтъ еще у насъ никого, нѣтъ людей, куда ни посмотри. Всѣ—либо мелюзга, грызуны, гамлетики, самоѣды, либо темнота и глушь подземная, либо толкачи, изъ пустаго въ порожнее переливатели да палки барабанныя!“

სახელოვანს გრიბოედოვს მაინც გადმოეხედნა ციდგან მშობელის ქვეყნის გლეხ-კაცობისათვის და იმას მაინც შეეტივნა რუსეთის ჟურნალ-გაზეთებისათვის თავისი გულ-დამდაღის სიტყვით: „Шумите вы—и только“! ეგებ მაშინ მაინც გამოიფხიზლებდნენ—და „не спѣши языкомъ, торопись дѣломъ“-ო იტყოდნენ და, რაც კეთილი რამ თქმულა, საქმედ აქცევდნენ ქვეყნის საბედნიეროდ და თავის სასახელოდ. «საპოლიტიკო წვრილმანების გამოძიებაში დროს კარგვას ათას წილად სჯობიან სამშობლო ქვეყნის ნარეკლიანი ბალახბულახის გაწმენდაზე ვიზრუნოთ და ფართო სავალი გზა მოვუმზადოთ პროგრესს და ცივილიზაციას; აი რაზედ უნდა ჰფიქრობდეს ყოველი ჭეშმარიტად შეგნებული ადამიანიო», ამბობს იტალიელი მსწავლული მანტეგაცცი და დიაღ გონივრულს სიმართლესაც ამბობს, თუ-კი იმჰკავენებენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და შინაურ საქმეების გამოძიებას დაატანენ ძალას. ხოლო ევროპიელი მინისტრ-დიპლომატების ბოლო-მოუღებელ დებატებს ათასში ერთხელაც ეკმარებოდა იმათი სამართალი, რადგანაც ჯერ ჩვენი ხალხი საიმისოდ სრულიადაც არ არის მომზადებული, რომ სხვის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგს თვალ-ყური ადევნოს თავის ცხოვრების ავ-კარგის შესადარებლად და გასაუმჯობესებლად. მაშასადამე, საცა წახვი-

ვენაში, ჩვენ შევვიძლიან ვაუწყოთ ,,საზოგადოებას'' ამ კაცის ფრიად პატივ-სადები და საყურადღებო აზრი ამ საგნის შესახებ.

,,სიხარულით ეგებება რა გენერალ ერკერტის შვიდის წლის შრომის დამთავრებას და ურჩევს-რა ევროპიელ სწავლულთ ამ შრომის ყურადღების მიქცევას, პროფესორი ფრიდრიხ მიულლერი თავისითაც დიდის თანაგრძნობით იხსენიებს ამ შრომას. აი იმისი აზრი იმ წიგნის შესახებ, რომელიც მალე უნდა დაიბეჭდოს:

,,ძველ მკვლევართა და განსაკუთრებით უსლარის შრომათა შემდეგ ჩრდილოსა და სამხრეთს კავკასიაში კიდევ ბევრი ენა დარჩა, რომელთა მხოლოდ სახელები ვიცით და რომელთა გამოკვლევა და შესწავლაც ფრიად საჭიროა. ეს დიალექტები მით უფრო საჭიროა, რომ მათის შემწეობით შეგვეძლება ერთმანეთს შევადაროთ სხვა-და-სხვა შტო, რომელიც ამ ჟამად იძულებულნი ვართ გავაცალკევოთ.

,,შევსება ამ დიდის ნაკლისა და შეკრება მასალისა კავკასიურ თითქმის ყველა ენათა და შტოთა შესასწავლად და აგრეთვე შემუშავება იმისი გრამმატიკულად იკისრა გენერალმა ერკერტმა. პროფესორი მიულლერი მით უფრო დიდის სიხარულით ეგებება ამ შრომას, რომ შეიძლება კავკასიის ენათ კილოკავნი (idiom) სრულიად აღიგავოს და სრულიად დაეკარგოს მეცნიერებას. იმისის აზრით, ერკერტის მიერ შეკრებილი მასალა უფრო დაახლოვებით გაგვაცნობს კავკასიურს ენებს და ამიტომ მეცნიერებისათვის საჭიროა, რომ დაიბეჭდოს ეს წიგნი. ეს წიგნი უთუოდ იმ წიგნთა შორის აღინიშნება, რომლებიც რუსეთშია დაბეჭდილი და რომელთაც მეცნიერებას ძლიერ შეუწყეს ხელი და მადლობა დაიმსახურეს''.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს განკარგულება გამოუცია, რომ პოლიციის ბოქაულებმა თვალ-ყური ადევნონ და სასტიკად აუკრძალონ ჩარჩებს სანოვაგეს ყიდვა სოფლელებისაგან, რომელთაც სააღდგომოდ ეს სანოვაგე ტფილისში ჩამოაქვთ. ქალაქს გარე ცხენოსანი პოლიციელები არიან დაყენებულნი, რომ ჩარჩებს არც იქ მისცენ სოფლელებისაგან სანოვაგეს ყიდვის ნება.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ უკანასკნელს ორს წელიწადს რკინის გზის მმართველობას 5 მილიონ მანათზედ მომეტებული ფული დაუხარჯავს ამ რკინის გზის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

*** თელავი: იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ თელავის მეორე გილდის ვაჭრის არტემ ბეგიჯანოვის დუქანი ქურდებს გაუტეხიათ და 500 მანათამდე საღირალი მოუპარავთ. ეჭვი თელავის მცხოვრებთა ნერსეს სიმონოვსა, ივანე დიასამიძესა, ეფრემ ფარსადანოვსა და ბადალა აკოფოვზედ მიუტანიათ.

*** ქართლი: მარტმა სწორედ ბოლო მოუღო ყველაფერს: ატამს, ვაშლს, ჭერამს, ტყემალს და სხვა ხეხილს, უმეტესად ზემო მხარეში, ხაშურსა, ბეჟათუბანსა და აგრეთვე მცხეთის იქითა მხარეს.

*** ოსეთი ბარისა (კავკავის მაზრა): დიდ-მარხვის მეოთხე კვირას ერთს აქაურს სოფელში საზარელი კაცის კვლა მოხდა. ოსს ეყიდნა თავისის მეზობლისაგან ერთი ცხვარი ნისიად დ გარიგებოდა სამს მანეთს. ცხვრის მიმყიდველმა მყიდველს მრავალჯერ სთხოვა საფასური ცხვრისა სამი მანეთი, მაგრამ ცხვრის მყიდველი განგებ მიზეზს უდებდა: შენც გემართა ამა-და-ამ დროს ჩემი და იმიტომ არ გაძლევო. ამაზედ მოუვიდათ ჩხუბი და ხანჯლების ტრიალზედ მიდგა საქმე. ცხვრის მყიდველმა დაასწრო, დასცა ცხვრის გამყიდველს მარჯვენა გვერდში ხანჯალი და იქვე მიაწვინა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ნაალდგომევს ტფილისზედ გამოივლიან სომეხთა კათალიკოზის არჩევანის დელეგატები და აქედგან გაემგზავრებიან ეჩმიაძინს. იერუსალიმის პატრიარქის დელეგატად გამოგზავნილია სააკ პაპაიანცი (კათალიკოზის კანდიდატად აღნიშნული), სტამბოლის პატრიარქის აშიკიანის დელეგატათ გამოგზავნილია ეპისკოპოსი ორმანიანი. ამას გარდა აპრილის რიცხვებში მოელიან ასტრახანის ეპარქიის ეპისკოპოსს გეორქ სურენიანცს (Кавк.).

*** გაზეთს ,,Т. Л.''-ს შეუტყვია, რომ კავკასიის სამთო მმართველობა აპრილის დამლევს შეუდგება ქვა-ნახშირის მადნების კვლევა-ძიებას ყველა იმ ადგილში, სადაც-კი ქვა-ნახშირი აღმოჩენილა.

*** 30 მარტს სოფ. მცხეთის მცხოვრებმა სოლომონ თომას ძემ ხიზანაშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ მარტყოფის ქუჩაზედ ნაშუადღევის ორს საათზედ სადგური გამიტეხეს და მომპარეს: ჩოხა და ახალუხი, 30 მან. ფულად, ვერცხლის საათი და სხვა ნივთეულობა, სულ 70 მანეთისაო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა პოლიციის ბოქაულებს უბრძანა, რომ ნება არ მისცეთ არავის საქანელისა და სხვა სათამაშოების გამართვისა, სანამ ქალაქის გამგეობის მოწმობას არ წარმოადგენნ. ამ გვარი საქანელები ჯერ ხუროთ-მოძღვრისაგან უნდა იქმნას შემოწმებული და მერე მიეცეთ ნება მოქმედებისაო.

## ქალაქის საბჭო

30 მარტი

კრებამ გასტანა ღამის თორმეტ საათამდე და მთელი საღამო მოანდომა განხილვას გამგეობის მოხსენებისას, თუ როგორი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქალაქმა მცხოვრებთ ხუნაგის წინააღმდეგ და სხვა გადამდებ სენთა ბრძოლის დროსაო. მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ რადგანაც სასანიტრო კომისიამ და გამგეობამ დაადგინეს საგანგებო კრებაზედ—სთხოვონ კავკასიის მკურნალთა უფროსს გამგეობას, რათა მიხეილის სამკურნალოში განთავისუფლებულ იქმნას ოცი ახალი საწოლი ხუნაგიან ავადმყოფთათვის, რის სამაგიეროდაც ქალაქი თავისს სიფილიტიკთა საავადმყოფოში დაუთმობს ამდენსავე ადგილსაო, ამის გამო წარსულს კვირაში წერილი გაჰგზავნა ქალაქის მოურავმა მკურნალთა გამგეობაში. ამ წერილის პასუხი ჯერ არ მიუღია ქალაქის მოურავს. აგრეთვე დადგენილი იყო ეთხოვნათ „წითელის ჯვარის" საზოგადოებისათვის, რომ დაეთმოთ ქალაქისათვის თავიანთი საგანგებო ეტლები სნეულთა გადასატან-გადმოსატანად, მაგრამ პასუხი მოუვიდა გამგეობას, რომ ამ გვარი ეტლები არა აქვს საზოგადოებასაო. ხმოსან გლავაცკის ბაასიდგან თითქმის გამოირკვა, რომ მიხეილის სამკურნალოში ვერ დაუთმობენ მომეტებულს ადგილს ხუნაგიანთათვის, რადგან ეს სამკურნალო იმყოფება ქალაქის შუაგულს ნაწილში და საშიშია, რომ იქიდგან უარესად არ გავრცელდეს სხვა-და-სხვა გადამდები სენი. გარდა ამისა, ყველგან ეხლა იმის მეცადინეობაში არიან, რომ ამ გვარ სენის სამკურნალოები გააშორონ ქალაქს და განაპირებულ ადგილებში მოათავსონ. საზოგადოდ-კი ხანგრძლივის ბაასიდგან აღმოჩნდა, რომ ხუნაგსა და სხვა-და-სხვა გადამდებს ავადობას ჯერ ისეთი საშიში ნიშნები არ ეტყობა, რომ სნეულთათვის ადგილი აღარ მოიპოვებოდეს და ამიტომ საჭირო იყოს ახალის სამკურნალოს დაარსება. მიხეილის სამკურნალოს არა აქვს უფლება უარი უთხრას გადამდებ სენიან ავადმყოფებს და არ მიიღოს. ამისდა მიუხედავად, სამკურნალოში ხუნაგიან ავადმყოფთა რიცხვი არის ხოლმე ხუთიდგან რვამდე და ჯერ ამაზედ ზევით არ ასულა. მაშასადამე, უფრო ის არის დღეს საჭირო, რომ ქალაქი მიეშველოს იმ ავადმყოფებს, რომელთაც მშობელნი არა ჰგზავნიან სამკურნალოში და შინა ჰყავთ და არც იმდენი შეძლება და ცოდნა აქვთ, რომ უწამლონ, ანუ უზრუნველ ჰყონ გავრცელება სენისა სალ მცხოვრებთა შორის. საბჭომ დაადგინა, ეხლავ შეუდგეს სადეზინფექციო შენობის გაკეთებას, დაიქირავოს ქალაქ გარედ დროებით სახლი გადამდებ სენიან ავადმყოფთათვის, მოიწვიოს ექიმი თავის ფერშლებითა დ მომვლელ დედაკაცებითურთ, გამართოს ორი საკუთარი ეტლი სნეულთა გადატან-გადმოტანისათვის და სხვანი. ხოლო რაიცა შეეხება საჭირო ფულს ამ საგნისათვის, დროებით იხმაროს გამგეობამ ის ფული, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია სადეზინფექციო შენობებისათვის, ხოლო დანარჩენ წყაროს აღმოჩენა მიენდოს საფინანსო კომისიასაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

29 მარტს საღამოს პირველი კრება მოხდა ტყიბულის ნახშირის სააქციონერო საზოგადოებისა. ამ კრების შესახებ გაზეთ «Нов. Обоз.»-ში დაბეჭდილია სხვათა შორის საზოგადოების ინჟენერის ბ-ნ ალაბაბოვის მოხსენება. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ, ბ-ნ ალაბაბოვის აზრით,

ტყიბულის ნახშირი დიდს ბაზარს მოიპოვებს, რადგანაც ეს ნახშირი საუკეთესო თვისებისაა, საჭიროა მხოლოდ სხვა-და-სხვა მაშინის გამართვა. თუ ტყიბულის ნახშირისათვის ბრიკეტნის გასაწმენდი ქარხანა გაიმართა ტყიბულში, მაშინ ეს ნახშირი გემებისთვისაც გამოდგებაო.

ალაბაბოვის აზრი ტყიბულის ნახშირის შესახებ მით უფრო სანდოა, რომ მან საფრანგეთში დაასრულა სწავლა და კარგადაც იცის ქვის ნახშირის საქმის წარმოება საზღვარ-გარედ. ამას გარდა, კრებაზედ წაკითხულ იქმნა ჟურნალი განსაკუთრებულ საბჭოსი, რომელიც პეტერბურგში იყო შემდგარი ფინანსთა, სახელმწიფო ქონებათა და გზათა სამინისტროს წარმომადგენელთაგან. ამ ჟურნალიდგანა სჩანს, რომ მართლა ტყიბულის ნახშირი საუკეთესოა მთელს რუსეთის იმპერიაში. ამას გარდა, კრებაზედ წაკითხულ იქმნა გაზეთ «Le Temps»-ში დაბეჭდილი ცნობები ქვის ნახშირის წარმოების შესახებ ბელგიასა, საფრანგეთსა, გერმანიასა და ინგლისში. ამ ცნობებიდგანა სჩანსო, ამბობს გაზეთი „Нов. Обоз.», რომ

საფრანგეთსა და ბელგიაში დღიური მუშა 2 მანათად ღირს, ნახშირი ადგილობრივ 5—10 კაპეიკად იყიდება და ნახშირს 200 საჟენის სიღრმიდგან უნდა ამოღება. ამას გარდა, იქ მრავალი ქვის ნახშირის საზოგადოებაა და ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ. მიუხედავათ ყველა ამისა, საზოგადოების აქციები, რომელიც 12—15 წლის წინად მხოლოდ 500 ფრანკი ღირდა, ეხლა ერთი ეს აქცია ღირს 20,000—40,000 ათას ფრანკამდე. ტყიბულის ნახშირის წარმოება უფრო სასარგებლო უნდა იყოს ჩვენის აქციონერთა საზოგადოებისთვის, რადგან ჩვენში დღიური მუშა 50 კაპ. ღირს, მეტოქეობა სულ არ არის და ნახშირის წარმოებაც უფრო ადვილია, რადგანაც ნახშირი თითქმის მიწის პირად არის და მუშაობაც ძნელი არ არის.

ყველა ეს აშკარად ამტკიცებს, რომ ტყიბულის სააქციონერო საზოგადოების საქმე ძლიერ კარგად წავა, თუ, რასაკვირველია, საზოგადოება რიგიანად მოაწყობს ამ საქმეს.

---

დე, ქუდი იქაურად დაიხურეო, ამას არ უნდა ივიწყებდნენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, და როცა ადამიანს თავი სტკივა, წამალს ფეხებზედ არ ადებდნენ. ჩვენმა პუბლიცისტებმა რომ უთავბოლობაზედ ხელი აიღონ და ჩვენის ერის უმრავლესობის ჭირი და ვარამი იძიონ, არკვიონ და საშველი მალამო მოუპოვონ, დიდ საკეთილო გზა-კვალს დაიჭიდნენ გონებით მიძინებულს ხალხში, აღარ ჩაივლიდა ცუდ-უბრალოდ იმათი ჯაფა, მელანი და ქაღალდი და დიდს სამსახურს გაუწევდნენ მშობელს ქვეყანას. გაზეთია, თუ ჟურნალი, მაშინ გავრცელდება ხალხში ქვეყნის საბედნიეროდ, როცა ხალხი ჭირის ზღვიდგან ამოსულია და როცა დაბეჭდილი სიტყვა ყოველთვის და ყველას გულზედ ეცხობა და ეჭიდება მწარედ თუ ტკბილად. დღეს-კი ჩვენის ხალხის უვიცმა უმრავლესობამ არც-კი იცის გაზეთი სასმელია, საჭმელი, თუ ტანზედ ჩასაცმელი... ვინ არის ამაში დამნაშავე, რომ არ იცის, თუ არა იგივე ჩვენი პუბლიცისტები, დიდის ზარ-ზეიმით რომ დაიწყებენ ხოლმე ევროპის პოლიტიკის წვრილმანზე სჯასა და ბაასს. ნეტავი მომკლა და ჯერ რაც მიჭირს, ის მომცაო, მშვენივრად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ჩვენი პუბლიცისტები-კი ჯერ იმას აძლევენ ხალხს, რაც არც იცის და არც უჭირს...

ბ-ნი გ. მაიაშვილი თავისს დიდად საყურადღებო «წერილებს» შემდეგის საყურადღებო სიტყვით ათავებს: «თუ გვინდა, რომ ხალხმა ისარგებლოს ჩვენის ლიტერატურულის მდაბიურობით და გამოიყენოს ეს დაუფასებელი თვისება ჩვენის მწერლობისა, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, რომ მწერლობა ხალხისათვის საჭირო და შესაფერ გონებრივს საზრდოს იძლეოდეს, მისს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ამიტომ ლიტერატურა უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნის საქმეებისა და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოჰხერხდება, როცა ლიტერატურა ერთად-ერთს ნამდვილს გზას და ჭეშმარიტს მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს, და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მისს ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წარმოდგენილი იქნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები—ეკონომიური და საზოდადოობრივი საქმეებიო» („ივერია" № 9, 82 წ.). მაგრამ ჩვენს პუბლიცისტებს რკინის ყურები აქვთ...

დალოცვილი ზოგიერთი ჩვენი პოეტები კიდევ გამოსდგომიან რალაც უსარგებლო ვარდ-ბულბულებისა და მხეც-ნადირების ქებათაქებას, მზე და მთვარე-ვარსკვლავების, ცისა და მიწის მთა და ველის ბოლო-მოუღებელს გალობას, ცით მონაბერ საიდუმლოების გულზე-მიუცხებელს გამოძიებას, ახალ-მოდის საკუთარს სევდა-ნაღველს და ფიქრა დაც აღარ მოსდით სახელოვან პისარევის შემდეგი სიტყვები: „Истинный поэтъ долженъ знать и понимать все, что въ данную минуту интересуетъ самыхъ лучшихъ, самыхъ умныхъ и самыхъ просвѣщенныхъ представителей его вѣка и его народа". ჰოი, „ძენო კაცთანო, ვიდრემდის გულ-ფიცხელ ხართ, რად გიყვარსთ ამაოება და ეძიებთ სიცრუესა"? შორს ჩვენგან, მუზავ ვარდ-ბულბულების ჩვენც ვიცით მათი სიმშვენე-სტვენა; ხალხი გვაცხოვრებს და ჩვენ არ ვიცით მისი ავკარგი, ჭირი და ლხენა; ეს გაგვაცანით, ჩვენო პოეტნო, ერს მიაპყარით თვალი და სმენა, ეგებ გამოჩნდეს ვინმე მკურნალი და ხალხს შეუშროს ტანჯვის ცრემლთ-დენა. როცა პოეტი ძლიერის ქნარით აღვიძებს ერის გრძნობა-გონებას, მაშინ თვით მავნეეშმაკის გულიც მის მოძღვრებას უწყებს მონებას. უფხო, უაზრო ლექსაობა-კი არვის გონს და გულს არ მიეცხობა და არ განქრება ათას ნაირი ქვეყნის სირეგვნე, შური და მტრობა. ყველაზედ წმინდა და უდიდებულესი საქმე ის არის ქვეყანაზედ, როდესაც რომელიმე ჭეშმარიტი მწერალი ხალხის ჭირსა და ვარამს თავისად მიიჩნევს გულში და მის საშველად ილვწის დღე და ღამე გამწარებული; ღირსია მაშინ სახელოვან ბერნეს ნათქვამი თავის თავზედ სთქვას თავ-მოწონებით: „მე სხვებსავით მელნით არა ვწერ, არამედ ჩემის გულის სისხლით და ნერვების წვენითო". „Писательство признается теперь величайшею и почтенѣйшею службой своей роднѣ", ამბობს რუსების პედაგოგი ვ. ოსტროგორსკი თავისს ერთს წერილში, მაგრამ უკეთესი იყო დიდად პატივცემულს პედაგოგს რომ ესეც

## რუსეთი

«Вѣстн. Финан.»-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია 1891 წლის რუსეთის სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ სახელმწიფო შემოსავალი 1891 წელს ძლიერ ნაკლებია 1890 წლის შემოსავალზედაც და 1891 წლის ხარჯთ-აღრიცხვაზედაც. 1890 წლის შემოსავალთან შედარებით 1891 წელს 61.399,000 მანათით ნაკლებია, ხარჯთ-აღრიცხვაზედ-კი 10.643,000 მანათით არის ნაკლები. „Вѣст. Фин“. ამბობს, რომ «1891 წლის შემოსავალი ნაკლებია 1888, 1889 და 1890 წლების შემოსავალზედ და ამის მიზეზი მოუსავლობააო».

ამ ცნობებიდგან მხოლოდ ისა სჩანს, რომ შემოსავალი შემცირებულა, მაგრამ, თუ ცალ-ცალკე გავსინჯავთ სხვა-და-სხვა საგნის შემოსავალს, მაშინ აშკარად დავინახავთ, რა გავლენა ჰქონია მოუსავლობას ამ შემცირებაზედ. 1891 წლის სახელმწიფო ბეგარის შემოსავალი წინა წლის შემოსავალზედ 2.118,000 მანათით ნაკლებია, სასმელების ბაჟის შემოსავალი—20.953,000 მანათით, მამულების შესყიდვის (выкупной платежъ) შემოსავალი—6.122,000 მანათით, ნედოიმკა-კი 1891 წელს—13.061,000 მანათით მეტია, ვიდრე 1890 წელს იყო და სხ. მაშასადამე, 1891 წელს სახელმწიფოს ის ფული მოაკლდა, რომელსაც გლეხ-კაცი იხდის. და თუ სახელმწიფო შემოსავალს მხოლოდ 61 მილიონი მანათი მოაკლდა და არა მეტი, ეს იმიტომ-რომ სხვა საგნების შემოსავალს მოემატა, იმ შემოსავალს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოუსავლობასთან, მაგალითად: სადამოჟნო ბაჟის შემოსავალს მოემატა 17.736,000 მანათი, სახელმწიფო რკინის გზების შემოსავალს—5.818,000 მანათი და სხ.

ავიღოთ ეხლა სახელმწიფო გასავლის ანგარიში. 1891 წლის 1 იანვრიდგან 31 დეკემბრამდე სახელმწიფო გასავლის ჯამი 1042 მილიონზედ მეტს შეადგენს, ე. ი. 67 მილიონამდე მეტია, ვიდრე 1890 წელს. ჩვეულებრივი გასავალი 1891 წელს $11^1/_2$ მილიონით მეტია, ვიდრე 1890 წელს იყო. არა ჩვეულებრივი გასავალი ფინანსთა სამინისტროს ვარაუდით $173^3/_4$-მდე იყო აღრიცხული, ხოლო ნამდვილად-კი ეს გასავალი 232.313,000 მანათამდე ავიდა. ამ საგანგებო, არა-ჩვეულებრივ გასავლის მომატების გამო სახელმწიფოს დიდი დეფიციტი დაედო. 1891 წლის შემოსავალს რომ წინა წლებში დარჩენილი ფული მიუმატოთ, მაინც 1891 წლის გასავალი 190.628,000 მანათით მეტია, ვიდრე ამავე წლის შემოსავალი.

საერთოდ-კი, თუმცა ფინანსთა სამინისტრო ეცადა და 1891 წლის შემოსავალს მხოლოდ 61.399,000 მანათი დააკლდა 1890 წლის შემოსავალთან შედარებით, მაგრამ სხვა-და-სხვა საგნის შემოსავლის თვალ-გადავლება მაინც გვიმტკიცებს, რამდენად დააზარალა მოუსავლობამ რუსეთის სახელმწიფო.

## უცხოეთი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. 20 ამ თთვისას გერმანიაში იდღესასწაულეს თავად ბისმარკის დაბადების დღე—77 წელიწადი. უკეთესი დღესასწაული გამართეს უფრო ბერლინსა, დრეზდენსა, მიუნჰენსა, შტუტგარტსა, ბრესლავლსა, ვისბადენსა და კილში. ფრიდრიხსრუეში, სადაც ამ ჟამად თავადი ბისმარკი სცხოვრობს, 5,000 დეპეშა მივიდა იმ დღეს, 200 პაკეტი და ამასთანავე ურიცხვი წერილი. დიდძალი დეპუტაცია მივიდა თვით ფრიდრიხსრუეში დღესასწაულის პირადად მისალოცავად. დილიდგანვე დაიწყეს მიდენა ბისმარკის სანახავად, მაგრამ რადგან მეტად აუარებელი ხალხი შეიკრიბა, შეაჩერეს ხალხი და აღარ უშვებდნენ. სასახლესთან შეკრებილმა ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა ბისმარკს. რუპერტმა სიტყვა უთხრა ბისმარკს შეგროვილის ხალხის მხრივ და იმის პასუხად ბისმარკმა შემდეგი სთქვა: „დიდად გმადლობთ მაგ მჭევრმეტყველურ სიტყვებისათვის, რომელიც ეხლა მოვისმინე. ეგ სიტყვები ჩემის მოხუცებულობისათვის დიდი ნუგეშია და იმედს მაძლევს, რომ წუთი-სოფელს გულ-დამშვიდებული განვშორდები. თუ ეს ამოდენა საზოგადოება, რომელიც ჩემგან არც არას მოელის და არც რიდი აქვს ჩემი, ასეთს ოვაციას მიმართავს, აშკარაა, ის საქმე, რის განხორციელებასა და შექმნასაც მე ვემსახურებოდი, თანაგრძნობით მიუღია გერმანიის ერს. ეს ამბავი თამასუქია მთელის ჩემის სიცოცხლის შრომისა და ამიტომ დიდის სიამოვნებით ვეგებები. თუ ეს ასეა, მაშ, რადგან უკვე ძლიერი ერი შევიქმენით, კიდეც დავიცავთ ჩვენს მამულს, თუ ვინმე შეგვეცილება და დავას აგვიტეხს. მე ეხლა ის მინდა შევიტყო, კმაყოფილნი არიან თუ არა ჩემი თანამემამულენი იმ მონაწილეობისა, რომელიც მე გავწიე ჩვენის ისტორიისათვის (უკიდური ასტუდა: კი, კიო!). მაშ თუ აგრეა, აბა დავიცათ ის, რაც გვაქვს. ჩვენ ამისათვის ღონეც შეგვწევს. ჩვენ ჩვენის ძალ-ღონისა არა ვიცოდითრა, რადგან განცალკევებულნი ვიყავით. ეხლა-კი საფიქრებელი ბევრი არა გვაქვს-რა. ერთადაც რომ მოგვადგეს მტერი აღმოსავლეთიდგანა და დასავლეთიდგან, ყველას გაწყვეტას შევიძლებთ (დიდი თანაგრძნობის ხმაურობაა). ჩვენ არას დროს არ გავეკინკლავებით ჩვენითა და არ გამოვიწვევთ სამტროდ, მაგრამ თუ ძლიერ ახლო მოვიდნენ, მაშინ-კი ვაჩვენებთ სეირსა (იძახიან: კაშ!) კვლავ მადლობას მოგახსენებთ იმ პატივისათვის, რომელიც ეხლა მეცით. ჩემს სიცოცხლეში ბევრი ორდენი მიმიღია, მაგრამ უფრო მახარებს თანაგრძნობა ჩვენის მეზობელ ჰამბურგის მოქალაქეთა“.

ბისმარკმა რომ სიტყვა დაასრულა, საშინელი ტაშის ცემა ასტეხა საზოგადოებამ. უმეტესი ნაწილი გერმანულის გაზეთებისა, განურჩევლად მიმართულებისა, დიდის ქება-დიდებით იხსენიებს ბისმარკის ღვაწლსა.

### ორიოდე სიტყვა ბ-ნს ჯიბერტს

შესახებ მისის რეცენზიისა „საქართველოს კალენდარზედ“ *).

მლივს ამ ხუთის წლის განმავლობაში გვეღირსა ვრცელი რეცენზია! ეს საპატიო საქმე უკისრნია ბ-ნ ჯიბერტს.

მშრომელი და მუშაკი კაცისათვის ისე ცუდი არა არის-რა, როგორც ხმის ამოუღებლობა იმის ნაშრომ-ნაღვაწზე. ამ მხრივ ჩვენ დიდს და განუზომელს მადლობას ვუძღვნით ბ-ნ ჯიბერტს, რომ ღირსს გვყო თავის ყურადღებისა.

მართლაც, აგერ ხუთი წელიწადია, რაც ჩვენი კალენდარი ქართველ საზოგადოებაში ტრიალებს და დღემდე ხმა არავის ამოუღია მაზედ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატივცემულის ბ-ნ ნ. ურბნელის ფელეტონს ამ ხუთის წლის წინად, რომელიც უფრო ჩვენ მიერ წარმოთქმულს აზრს შეეხებოდა («ჩვენი ცხოვრების გზა-კვალი»), ვიდრე თვით კალენდარს.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ რაც უფრო მეტი ითქმის და დაიწერება რომელსამე საგანზე, მით უფრო უკეთესია, როგორც თვით საგნისათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც, თუნდაც მიუხედავად იმისა, რა ღირსების და თვისებისაა ის წერილი.

ყოველ გვარი შენიშვნა, მით უფრო რეცენზია, ანუ კრიტიკა, რაკი გამოწვეულია საქმის ცოდნით და სიყვარულით, გულ-წრფელის მოსაზრებით, სასიკეთო და სასარგებლო განზრახვით და სიმართლის და ჭეშმარიტების აღდგენით,— ისეთი შენიშვნა პატივ-საცემია, მადლობის ღირსია და, რაც უნდა სასტიკი და ულმობელი იყოს თავის კვლევა-დასკვნაში, იგი მ[ე]რად შესასმენია, ყურად საღებია.

ბ-ნი ჯიბერტი, ეტყობა, დახელოვნებულია წერა-კითხვაში და ამოკითხვაშიაც. იმდენი უჩიჩქნია და უქექნია ჩვენი კალენდარი, რომ, ასე წარმოიდგინეთ, ისიც-კი გამოუქექნია, რომ 97 და 77 შეადგენს 174 და არა 170, როგორც ჩვენ გვაქვს შეცდომით მოყვანილი. ბ-ნი ჯიბერტი გვისაყვედურებს, ბათომის მცხოვრებთა რაოდენობა შეცდომით აქვს გუნიას ნაჩვენები და იმ წიგნით არ უსარგებლნია, რომელიც ხელთ ჰქონდაო. ეს ტყუილია, იმ დროს როცა ხსენებული განყოფილება იბეჭდებოდა, «Батумъ по однодневн. переп.»-ის ხსენებაც არ იყო. იქვე ბ-ნი ჯიბერტი გვისაყვედურებს, გუნია ზოგიერთს ცნობებს «Кавказскій календ.»-დგან ღებულობსო. მაშ საიდგან აეღო, ბ-ნო ჯიბერტო? «Кавказ. календ.»-ზედ იხარჯება ათასობით სახელმწიფო ფული, მას მოვალე არიან მიაწვდინონ ხოლმე ყოველ გვარი ცნობანი ყველა სასტატისტიკო კომიტეტებმა კავკასიაში და ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა. ხოლო ჩვენ რამდენჯერ და როგორათაც არ გვითხოვნია ყველასათვის, მაგრამ ჩვენი თხოვნა დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაშ რა არის საკვირველი ან საცოდველი, რომ «Кавказ. кален.»-ს მივმართოთ ხოლმე ხანდისხან?.. რა თქმა უნდა, ეს ჩვენის თუ «Кавказ. кален.»-ის შეცდომას არ ამართლებს და ეს გარემოება არც გასამართლებელ საბუთად მოგვყავს, მაგრამ ხანდისხან ურიგო არ იქნება, რომ რეცენზენტმა ჩაიხედოს ხოლმე იმ გარემოებათა მორევში, რომლიდამაც ხშირად ისე ძნელია ხოლმე ამოხტომა.

უცხო ქვეყნებში და რუსეთშიაც იმისთანა ტიპის კალენდარზე, როგორიც ჩვენი «საქართველოს კალენდარია», იმის რედაქციებზე, კორესპონდენტებზე, აგენტებზე და შედგენის და გამოცემის ადმინისტრაციაზედ ყოველ წლივ იმდენი ფული იხარჯება, რამდენიც ათ წელიწადსაც არ დაიხარჯება ხოლმე ჩვენს ქართულ გამოცემებზე. და წარმოიდგინეთ, ბ-ნო ჯიბერტო, იმ კალენდრებშიაც-კი იმდენს შეცდომას შეხვდება კაცი, მეტადრე თქვენისთანა გულ-მოდგინე მქექავი კაცი, რომ მასთან შედარებით ჩვენი კალენდარი უმანკო პატარძლად გეჩვენებოდათ. თუ არ გჯერათ, აიღეთ მაგალითად ,,Кавказ. кален.'', ,,Русск. Кален.'' Суворина, ,,Всеобщій Кален.'' Гоппе და სხვა.

ამ დღეებში გარჩეული იყო ერთ-ერთს აქაურს რუსულ გაზეთში ,,Кавк. Кален.'' და ,,Суворин.''-ის კალენდრები ბ-ნი ერისთავისაგან და აღმოჩნდა, ერთი მესამედი კალენდარში მოქცეული ცნობანი ტყუილი ან შეცდომითი გამოდგა...

მერე როგორ გგონიათ, რეცენზენტი მიდგა და გამომცემელ-შემდგენელს ტყავი გააძრო?

სულაც არა. რეცენზენტმა იმ აუარებელ შეცდომებთან ოდნავ ღირსებაც მონახა და ამის გულისთვის არ უგიჟნია, რომ ბოროტად ჰხმარობ საზოგადოების წყურვილსაო.

თქვენ-კი როგორ მოექეცით ან ჩვენს კალენდარს, ან ჩვენს პიროვნებას? რაღაც ათიოდე შეცდომა გამოქექეთ ჩვენის კალენდრიდგან, ისიც ზოგი ასოთ-ამწყობისა და ზოგიც მასალის უქონლობის გამო მომხდარი შეცდომები, რომელიც ბევრი-ბევრი ღიმილს მოჰგვრიდა ინტელიგენტ მკითხველს. თქვენ-კი შუბლ-შეკრული და წარბ-შეჭმუხვნილი საქვეყნოდ ზარსა და ზეიმსა სცემთ: ხედავთ, სალხინო

---

*) ამ წერილის ბეჭდვა ჩვენდა უნებურად ძალიან დაგვიანდა.

ავტ.

---

ეთქვა მწერლების საყურადღებოდ: ბევრად სჯობია მჰადების ცხობა ცრუ ლექსთა ცხობას, გეფიცით ძმობას!

არა, ცრუ-ლექსთა ცხობა რა კაცის საკადრისია, ეს მოსულელო და განუვითარებელ ადამიანის საქმეა. დასწერეთ ისე, რომ მკვდარსაც-კი საგმირო სული ჩაუდგას თქვენმა ფრთიანმა და მადლიანმა სიტყვამ, რომ სამართლიანმა და შუქ-ნათლიანმა კრიტიკამ თქვენზედაც სთქვას აღტაცებით ის, რასაც სახელოვანი ბელინსკი ამბობს პუშკინზედ გულაღფრთოვანებული: „Вотъ какъ пишетъ истинно-народный, истинно-національный поэтъ!“ დიდი სირცხვილია, ჩვენს თვალ-ხილულს დროში კაცი იმას ეჭიდებოდეს, რაც იმის ჰკუასა და ხელს არ ეხერხება; ან ეხერხება, მაგრამ გაუმაძღარი სიხარბე ახდენინებს საქმეს სიჩქარით და ის-კი აღარ ახსოვდება, თუ რას ამბობს იგივე ბელინსკი: „Достоинство поэта измѣряется качествомъ, а не количествомъ написаннаго имъ“. დიახ, საქმე ღირსებაა. ოქრო პატარაა, ფასი დიდი აქვს. Великъ оселъ, да на немъ воду возятъ, малъ соколъ, да на рукахъ носятъ. რათა? იმისთვის, რომ соколъ съ лету хватаетъ, а оселъ и сидячаго не поймаетъ. არა, ცოტა იყოს და მადლი ღვთისა, რომ გულსაც ახურებდეს, სულსაც აფრთოვანებდეს და გონებასაც ასაზრდოებდეს. იქნება ეხლა რომელსამე მწერალ-გენიოსს გუთანზედაც უვლია ხელი და მიწასა ჰხნავს ტალახში ამოგანგლული; ვინ იცის, იქნება ერთხელ იმ გენიოსის ძვალმანიც აღარ მოიპოვებოდეს საფლავში, მაგრამ იმისი მილიონებად ქცეული, მადლის ნათლით გაბრწყინვებული სიტყვა-აზრები-კი მთელს ქვეყანას უვლიან დღე და ღამე დაუცხრომლად, რომელთაც მილიონობით მოურჯულებიათ ადამიანები და ვინ მოსთვლის კიდევ მომავალში რამდენს ადამიანთა თაობას სხვა-და-სხვა ქვეყნისას ანუგეშებენ, გაამხნევებენ და გააკეთილ-გონიერებენ. რა გამოდის აქედამ?—ის, რომ უდიდებულესზედ უდიდებულესი ხელობაა მწერლის ხელობა და დიდებული მწერალი დიდია დიდებულს მეფეზედ ყოვლად შეგნებულის კაცის თვალში. მაშასადამე, როცა ჩემისთანა ჰია-მტვერი კალამს იღებს ხელში ქვეყნის წინაშე სასაუბროდ, კალმის დადებამდე სულ ის უნდა ედგეს თვალ-წინ: უდიდებულესის ხელობის საკურთხეველს ჩირქი არ მოსცხო და თავზე ლაფი არ დავასხაო.

მაგრამ... Бѣда, коль пироги начнетъ печи сапожникъ, а сапоги точать пирожникъ. ამაზედ სამწუხარო-კი უფრო ის არის, როდესაც ყველა მიკროსკოპიულ მწერალ-ქალალდიჩხაპიას უდიდებულეს გენიოსად მიაჩნია თავი და ფიქრობს: ეხლა მე ყოვლის ცოდნა-განათლებით და ნიჭით აღსავსე ვარ, ვით ბადრი მთვარე კამკამა ცაზედ, და სხვა აღარა მიჭირს-რა: არც მსოფლიო მეცნიერებისაგან ყოვლის მხრით განსპეტაკებული გონების საფუძვლიანი აზრები, არც მრავალს ჭირსა და ლხინში ნაწრთობის გულის გამონაცადი გრძნობანი, არც ადამიანთა სულის სწავლაში ღრმად დახელოვნებული აღლო წინასწარმგრძნობელობისა, არც სალიტერატურო ხელოვნებაში წეს-რიგიანად განვითარებული გემოვნება მსჯელობისა, არც ქვეყნის ავ-კარგის კრიტიკულად გამსამართლებელი ნიჭი მართლ-მსაჯულებისა, არც კაცთა გულ-გონების საავ-კარგოდ აღმაფრთოვანებელი მჭევრმეტყველება ცით-მონაბერის მადლისა, არც შემოქმედებითი ძალა ეროვნულის სულის ყოფა-ცხოვრების სავსებით და სინამდვილით გამოხატვისა, არც ზეგარდმო-მონიჭებულის ცეცხლით აღგზნებული თანაგრძნობა სხვის ბედ-უბედობის თავის ბედ-უბედობასავით გულის სიღრმეში ჩასაჭდევად, არც ძლიერ და ზღვასავით მღელვარე გრძნობათა ძლიერად გამომეტყველი და დამსურათხატებელი ენა, რომ თვით გონება-დაჩლუნგებულს ცუღლუტსაც-კი კითხვის სურვილს უშმაგებდეს და შიგ გულის სიღრმეში უნერგვიდეს კეთილ აზრების სურვილს, არც მოძმეთა უმრავლესობისა და მის უუმდიდრესის ენის ღრმად ცოდნა და არც სხვა რჩეულთა პოეტთა დაულალავ მოქმედების მრავალ თვალ-მარგალიტიანი ღირსებანიო. ეჰ, მახლას! Мало-ли людей, начиная жизнь, думаютъ кончить ее, какъ Александръ Великій, или лордъ Байронъ, а между тѣмъ цѣлый вѣкъ остаются титулярными совѣтниками, ლერმონტოვისა არ იყოს.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

და ქრისტიანნო, რა დაუდევარი და უცოდინარია ბ-ნი ვალ. გუნიაო! პარისი ჩინეთში მოუქცევია, პეკინი ჯანაბაში და სხვა-და-სხვაო!... რა სეირია-და! საწყალი გუნია, საბრალო მკითხველი და ულხინ-ავერუმ ჯიბერტო!!..

მართალია, ჩვენს კალენდარში, იქ, სადაც უცხო სახელმწიფონია მოხსენებული (173 და 174 გვ.), უკანასკნელი ცამეტი სტრიქონი არეულია, მაგრამ ზეგითი სამი და შვიდი სტრიქონი რიგზედ არის და სწორეა. ხოლო ზემოხსენებული შეცდომა ჩვენს უნებურად მომხდარია. მეტრანპაჟეს და მაშინისტის ბრალია. ამას ბეჭდვის საქმეში ოდნავ მაინც გარეული კაცი მიხვდებოდა და სურიოზული კრიტიკა სულაც უურადღებოს არ მიაქცევდა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ჩვენ მაინც არ გვამართლებს, მაგრამ ნუ თუ ბ-ნი ჯიბერტი მართალი ბრძანდება, როცა გუნიას ამისთანა სასაცილო ცნობების უცოდინარობას სწამებს?...

შეცდომა აუცილებელია, მეტადრე იმისთანა საქმეში, როგორც კალენდარია, სადაც მრავალ გვარი სხვა-და-სხვა მასალები თავს ერთად იყრიან, მით უმეტეს, როცა იმ მრავალ მასალებს მხოლოდ და მარტოკა ერთი კაცი იწვლილებს. ვიმეორებთ, შეცდომა ხშირად უვიცობას და უცოდინარობას არა ნიშნავს და თვითო - ოროლა შეცდომისათვის კაცს რომ სულელი და უმეცარი დავუძახოთ, მაშინ, ვინ იცის, რა დასკვნამდე მივაღწევდით.

თორემ აი მაგალითად: დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთ «ივერიაში» ოფიციალურ დეპეშაში დაბეჭდილი იყო, რომ ყირიმის გუბერნატორი ეს-და-ეს ფაშა სტამბოლს გადაიყვანესო. განა ამით შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ერთად-ერთის ქართულს გაზეთს არც გეოგრაფია და არც დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა სცოდნიაო. ყირიმი, რუსეთის პროვინცია, «ივერიის» რედაქციას სტამბოლში მოუქცევია!... ამაზედ უმეტესი-და შეცდომა და ტუტუცობა შესაძლებელია? ნამდვილი დეპეშა-კი ასე იყო რუსულად: критскій губернаторъ და სხვა. ხოლო «ივერიამ» კრიტი ყირიმად გადაქმნა. ნუ თუ ეს ვისმე საბუთს აძლევს «ივერიის» რედაქციას, კოლეგიურს წრეს, უცოდინარი და უმეცარი უწოდოს. არა, ეს არ ითქმის და არც საკადრისია. იმავე პატივცემულს «ივერიაში» ამ ერთის თვის წინად დეპეშაში დაბეჭდილი იყო, რომ გამოჩენილი ექიმი მარლეი მეკენზი გარდაიცვალაო, ხოლო ორი კვირის შემდეგ იმავე გაზეთის წვრილ ამბებში დაბეჭდილი იყო, რომ გამოჩენილი ექიმი ფრიდრიხ III-სა მორლეი მეკენზი ინფლუენციით ავად არისო. განა ამით შესაძლებელია კაცმა დაასკვნას, რომ «ივერიის» თანამშრომლებს არც კითხვა სცოდნიათ, არც ფიქრი და თითონ თანამშრომლებიც არ კითხულობენ ხოლმე თავიანთს გაზეთსაო... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ ითქმის და არც უნდა ითქვას.

იმავე გაზეთში, არ მახსოვს რა დროს, იყო დაბეჭდილი, რომ გამოჩენილი ჰაერთ-ოსტატი ლერუ და სხვა. როგორ მოგწონთ ეგ ჰაერო-ოსტატი ჰაერონავტის ან თუნდა ჰაეროსტატის მაგიერ!! რაც შეეხება აწყობილს და შესწორებულს წერილების არევ-დარევას, როგორც ჩვენს კალენდარშია არეული 13 სტრიქონი უცხო სახელმწიფოთა შორის, ამის მაგალითები ურიცხვია ისევ იმ პატივცემულ «ივერიაში» და იმათი ანუსხვა ბევრს დროს და ადგილს დაგვაკლებდა; ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ ვაჟა-ფშაველას ლექსებზე და მე-41 ნომერზედ, სადაც ფელეტონი «წკიპურტიდგან» წკიპურტი უკრავთ და ერთი სტრიქონი გადაწკიპურტებულა მეთაურ წერილში და მეთაურის წერილიდგან ერთი სტრიქონი ჩაწკიპურტებულა «წკიპურტში». კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეგვეძლო ბ-ნი ჯიბერტის დასარწმუნებლად, მაგრამ ღირს-და... ზოგს ვერაფრით ვერ დაარწმუნებთ.

ვალ. გუნია

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

30 მარტი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი უკეთ შეიქმნა; იმის ავ-კარგიანობის შესახებს უწყებებს ხელს აწერს ზახარინი.

**ბერლინი.** როგორც ისმის, კვლავ აპირობენ შეადგინონ დასი კარტელისა ზომიერ კონსერვატორთა, თავისუფალ კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთაგან. ამბობენ, ამ დასის შედგენის აზრსა და იმ აუდიენციას, რომელიც გუშინ ზომიერ კონსერვატორთა მეთაურს რაუხაუპტს ჰქონდა იმპერატორთან, ერთმანეთთან დამოკიდებულება აქვსო. ამბობენ აგრეთვე, რომ გელბორფი სცდილობს დაახლოვოს მთავრობა და თავადი ბისმარკი ულტრამონტანისტობის წინააღმდეგაო.

**პარიჟი.** დაგომეის შესახებ საქმის განხილვის შემდეგ, რადგანაც აღმოჩნდა, რომ კოლონიის მთავრობასა და ზღვათა სამინისტროს შორის ადრიდგანვე უთანხმოება ყოფილა ჩამოვარდნილი, საბიუჯეტო კომისიამ შეიწყნარა 3 მილიონი ფრანკი კრედიტი და დაგომეის შესახებ თვით პალატას მიანდო აზრის წარმოთქმა.

31 მარტი

**პეტერბურგი.** იაკუტის გუბერნატორი კოლენკო ვოლოგდის გუბერნატორად დაინიშნა.

,,მართებლობის მოამბეში'' გამოცხადებული 1891 წლის ის წესები, რა წესითაც უნდა წაასხ-წამოასხან ხოლმე სხვილ ფეხი საქონელი და ცხვარი ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას ევროპის რუსეთის საზღვართა შუა, ძალაშივე რჩება ამ მიმდინარე წლის დამლევამდე.

მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავრებმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ მიიღეს წოდება რუსეთის საასტრონომიო საზოგადოების საპატიო წევრობისა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ—წოდება იმავე საზოგადოების საპატიო დამფუძნებელ წევრობისა. დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ თავისის მფარველობის ქვეშ მიიღო საზოგადოება ამურის მხრის შესწავლა-გამოკვლევისა.

ფინანსთა მინისტრს გირსს ყურის ტკივილი დაუამდა, მაგრამ ჯერ კიდევ აციებს. ამბობენ რომ, მორჩენისათანავე მინისტრი ცოტა ხნობით ყირიმში გაემგზავრებაო.

## განცხადებანი


,,სიჭაბუკის ცოდვა''

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—3)

ქართველებს
საალდგომო საჩუქრად.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ილია ჭავჭავაძის თხუზულებათა

| | |
|---|---|
| 1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. | 2 მ. 50 კ. |
| იგივე უყდო. | 2 მ. |
| იგივე მდარე ქაღალდზედ | 1 მ. 20 კ. |
| „ბნელო“, მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით | 90 კ. |
| დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. | 1 მ. 25 კ. |
| ზღაპრები ლამაზი ყდით | 80 კ. |
| ყაზბეგის თხზულებანი I, II, III ტ. ფასი თითო ტომისა მშვენიერის ყდით. | 2 მ. 50 კ. |
| ხოლო სამი ტომი ერთად | 7 მ. „ „ |

შველგან!!!
საპონი ოლეო-ვაზელინი
როიალ-კონგო!
ახალი ამბავი!!!
სურნელოვანი წყლები
FIN DE SIÈCLE
და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი
ფაბრიკისა
,,ვიქტორია რეგინასი''
ე. ბოდლო და ამხ.
მოსკოვში.

(10—7)

გამოვიდა და ისყიდება «წერა - კითხვის საზოგადოების» და «ქართულ წიგნების მბეჭდავ ამხანაგობის» წიგნის მაღაზიაში საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ცახელისა, მეორე გამოცემა:

შალვას თავ-გადასავალი

ფასი 15 კაპ.

ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოება მ. ო. ურუშაძისა და ამხ., რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გააიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამ ჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე 192 წევრი ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის ოც-და-ათ მანეთს და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა 5760 მანეთია.

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად ათი მანეთი და დანარჩენი ოცის ექვსის თვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургетское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и К°. (6—3)




(12—4)

ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად (16—13)

ი. ალოიზი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

ზალიბი

მოთხრობა კოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Марта 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.